

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. ლენინის ქუჩის ხედი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 47 (12863) | სამშაბათი, 25 თებერვალი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

## საბჭოთა საქართველოს დღესასწაული

გ. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

დღეს ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 43 წლისთავს და აჯამებს მიღწეულ შედეგებს, რომლებიც მან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მოიპოვა.

ჩვენი ქვეყანა გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ. ყოველ ახალ წელს, ყოველ ახალ თვესა და დღეს ახალ-ახალი გამარჯვებები მოაქვს. საბჭოთა ხალხი თავგამოდებით შრომობს და ენთუზიაზმით ასრულებს დიადი კომუნისტური პარტიის ყველა დავალებას, ყველა მითითებას, რადგან დარწმუნებულია, რომ ყოველი ახალი ღონისძიება, რომელსაც სახვას პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მმართველია საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, სასარგებლოა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისაკენ.

და მართლაც, ისტორიას არ ახსოვს ისეთი გრანდიოზული განვითარების მაგალითი, როგორსაც მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ. სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა განუვითარებელი, ჩამორჩენილი რუსეთი აქცია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე, ყველაზე განვითარებულ ქვეყნად, რომელსაც აქვს მძლავრი თანამედროვე მრეწველობა, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა და მაღალი კულტურა.

საბჭოთა ხალხმა დიდი ხანია წარმატებით დაამთავრა სოციალიზმის შენებლობა და ახლა ხელგადაკაპიწებული აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას — ასრულებს დიად პროგრამას, რომელიც XXII ყრილობამ დასახა.

ჩვენ დიდი ხანია მივეჩვიეთ, რომ პარტია სახავს ახალ-ახალ გრანდიოზულ გეგმებს, მიმართულს ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი განვითარებისაკენ, რომლებსაც უდიდესი ენთუზიაზმით ასრულებს საბჭოთა ხალხი. ამის მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დეკემბრისა და მომდინარე წლის თებერვლის პლენუმები. პლენუმების გადწყვეტილებები — ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი, კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ პრაქტიკულად როგორ გადავწყვეტთ უდიდესი ეკონომიური ამოცანა — შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პარტიამ დასახა ქიმიური მრეწველობის შემდგომი მძლავრი განვითარების, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დიადი გეგმები. პარტია ამჟამად იმიტომ ანიჭებს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ქიმიური მრეწველობის განვითარებას, რომ იგი სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების აღმავლობისა და ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მძლავრი ბერკეტია.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დეკემბრის პლენუმზე ამბობდა:

„პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულება, როგორიც XXII ყრილობამ დასახა, — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმატებით შეეასრულებათ მინერალური სასუქების, სინთეზური გუმოკოების. კლასტიკური მასების წარმოების სწრაფი გაღიდების დასახულ პროგრამას. ქიმიური მრეწველობა — ეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, ის ბასალებია, როგორიც გაგვიღებს მატერიალურ სიკეთეთა სიუხვის კარს“.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებმა ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. აღძრა უდიდესი კმაყოფილების გრძნობა — და ეს იმიტომ, რომ პლენუმების მიერ მიღებული დოკუმენტები მათ მიაჩნიათ სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დაჩქარებისათვის ზრუნვის დიდ გამოხატულებად.

საბჭოთა კავშირის ხალხების გმირულ ბრძოლაში ქიმიის ფრონტზე თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებსაც. ქიმიური მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა თითქმის ორჯერ გადააჭარბა მთელი მრეწველობის ზრდის ტემპს და შვიდწლედის ოთხ წელიწადში 13,6 პროცენტი შეადგინა.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა დეკემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში. რუსთაველმა ქიმიკოსებმა და მშენებლებმა დაამსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოლოცვა კაპროლაქტამის — სინთეზური ბოჭკოების, კორდის და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა საქონლის მისაღები ძვირფასი ნედლეულის წარმოების საამქროთა კომპლექსის, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა ამუშავებისათვის.

პარტიის მიერ ასეთი დაფასებას ქართველი ქიმიკოსები უდიდესი აღფოთოვანებით შეხვდნენ. ეს მილოცვა მათ მიიღეს ახალ დავალებად, რომ მიაღწიონ ახალ წარმატებებს ქიმიური ინდუსტრიის შემდგომი განვითარების გზაზე, გადიდონ მინერალური სასუქების წარმოება.

და მართლაც, მათ უკვე საქმით დაიწყეს ალებული ვალდებულებების გაწაღდება. სინთეზური ამიაკის გამოშვების მიმდინარე წლის იანვრის გეგმა 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს, რაც 35 პროცენტით მეტია შარშანდელი წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ხოლო მინერალური სასუქების გამოშვებისა შესაბამისად 100,2 პროცენტით, ანუ 31 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ჩვენმა რესპუბლიკამ ქიმიური მრეწველობის განვითარების ასეთი ტემპების მიღწევა მხოლოდ იმის წყალობით შეძლო, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ განვითარდა მრეწველობა, მათ შორის მძიმე მრეწველობაც. საქართველოს ინდუსტრია წარსულში კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მხოლოდ ვიწრო ასორტიმენტის საქონელს, რკინის ბაზრებს, თოხებს, ნამგლებს და სხვა წვრილმან პროდუქციას უშვებდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი რესპუბლიკა იქცა შეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, დაზგათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ავტომობილმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, ფეროშენადნობების, ცემენტის, აგურ-კრამიტისა და მძიმე მრეწველობის სხვა მრავალფეროვანი პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნად, რომ არაფერი ვთქვათ საქვეყნოდ განთქმულ კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე.

მივმართოთ მაგალითებს. ცნობილია, რომ არ შეიძლება სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგის განვითარება, თუ არ იქნება მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. საქართველოში გასაბჭოებამდე ყველა ელექტროსადგურების სიმძლავრე რვა ათას კილოვატს არ აღემატებოდა, ხოლო 1913 წელს გამომუშავებული იყო სულ 20 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ახლა, მარტო ერთი, ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დამთავრდა, თითქმის ხუთჯერ მეტია, ვიდრე 1913 წელს მოქმედი ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე, ხოლო საქართველოში მოქმედი ყველა ელექტროსადგურისა — თითქმის 120-ჯერ მეტი. გასულ წელს გამოშვებულ იქნა 4.213 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია — 210-ჯერ მეტი. ვიდრე 1913 წელს, ხოლო მარტო მიდღინარე წლის იანვარში 21-ჯერ მეტი. მაგრამ, მოუზედავად ამისა, ჩვენი სახალხო მეურნეობა მაინც ელექტროენერგიის მუდმივ შიმშილს განიცდის. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ახალი მძლავრი ელექტროსადგურების მშენებლობა. შენდება უნიკალური ჰიდროელექტროსადგური მდინარე ენგურზე, რომლის სიმძლავრეც 1,6 მილიონზე მეტი კილოვატი იქნება, ორჯერ მეტი, ვიდრე ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგურისა. თბილისის ბალნოლმოდ შენდება 600 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგური, რომელიც იმუშავებს ბუნებრივ გაზზე.

საქართველოს მრეწველობის სხვა დარგების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სწორედ ენერგეტიკული ბაზის შექმნა გახდა. დღეს ჩვენი რესპუბლიკა უშვებს გაცილებით მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ვიდრე მრავალი განვითარებული ბურჟუაზიული ქვეყანა, მხოლოდ საბჭოთა ქიეყანაში შეიძლებოდა ხულ რამდენიმე წელში ისეთი გიგანტის აშენება, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და ქალაქი რუსთავი. მისი მშენებლობა ომისშემთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ამხ. გ. ჯავახიშვილის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

დიდად მოხარული ვარ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის სახელით მოგესალმოთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენს მეუღლეს საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ჩვენ მოგვაჩნია იმის ერთ-ერთ გამოხატულებად, რომ ჩვენი ხალხები ეცდრაფვიან ჭეშმარიტად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებას.

უეჭველია, თქვენი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში დაგეხმარებათ უფრო უკეთ და უფრო ახლოს გაეცნოთ ჩვენი ხალხის აზრსა და სურვილებს, მის მისწრაფებას მშვიდობისა და ყველა ხალხთან მეგობრობისაკენ, აგრეთვე ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების გაუმჯობესებას და ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობის განვითარებას ჩვენს ხალხებს შორის.

ქართველი ხალხი, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობით ეკიდება ნიჭიერ და შრომისმოყვარე დანიელ ხალხს. თუმცა ჩვენ ტერიტორიულად ერთმანეთისაგან ძალიან შორსა ვართ, მაგრამ ჩვენს ხალხებს ახლოებს საერთო მისწრაფება მშვიდობიანი და შემოქმედებითი ცხოვრებისადმი.

მინდა უდიდესი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისას თქვენ გამოთქვით საქართველოს ნახვის სურვილი. თუმცა ჩვენთან ძალიან ცოტა ხანს დარჩებით, მაგრამ შევეცდებით, შეძლებისდაგვარად გაგაცნოთ ჩვენი რესპუბლიკის მიღწეული ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ თქვენ სიამოვნებით მოიგონოთ საქართველოში ყოფნა.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პრემიერ-მინისტრო!

სასასუხო სიტყვა წარმოთქვა ენს ოტო კრაგმა.

ДАНИИЛ პრემიერ-მინისტრის ენს ოტო კრაგის ჩამოსვლა თბილისში. ხურათზე: შეხვედრა აეროდრომზე. მიკროფონთან არის ე. ო. კრაგი. მარჯვნივ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

ფოტო ი. დვალისა და გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ახალი გროშურა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე — „წარმოების ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებაა“.

## დღეს ჩვენს ნომერშია:

- □ საბჭოთა საქართველოს დღეს 43 წელი შეუსრულდა
- □ თბილისი გულთბილად ხვდება დანიელ სტუმარს
- □ საბჭოთა საქართველო უცხოელის თვალით

## „ვადამდე შეასრულოთ შვიდწლედის მეექვსე წლის დავალება“

### საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკის, მეცნიერების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით და ისწრაფვიან რა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის კომუნიზის შემდგომი განვითარების საქმეში, 1964 წლისათვის შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალი რეზერვების გამოვლინებისა და ამოქმედების გზით, მოწყობილობისა და მასალების უფრო ეფექტიანი გამოყენებით, ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის ვადამდე დანერგვის გზით 26 დეკემბრისათვის შეასრულონ მთელი ნაწარმოების და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაკეთობის გამოშვების, კოოპერირებულ და საექსპორტო მიწოდებათა წლიური გეგმა.

5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გადიდების მიმდინარე წლის დავალება, მისცეს საშობოლოს თვითღირებულების შემცირებით 4 მილიონი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია, შეამცირონ 10-15 პროცენტით გეგმით ზარალიანი საწარმოების რაოდენობა.

გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 16.000 ტონა ფოლადი, 1.000 ტონა თუჯი, 12.000 ტონა მზა ნაგლინი, 9.000 ტონა მილები, ათობით ათასი ტონა სასაქონლო მანგანუში, 15.000 ტონა ქვანახშირი, ათობით ტონა მშრალი ლითოფონრნ, პოლიეთილენის აფსკი და ტყვია-თუთიის კონცენტრატი, 50 ტონა ბარიტის კონცენტრატი, 10 ასი მოდელის ძმიმე ჩარხი მეტალურგიული მრეწველობისათვის, 50 ლითონსაჭრელი ჩარხი, 50 ავტომანქანა, ერთი მაგისტრალური ელმავალი, 50 ელექტროკარი, 25 ერთეული ელექტრომესაფული მოწყობილობა, 100 ამწეს ელექტროძრავა, 20 არტეზიული ტუმბო, 100 მაგნეტური ასაბუმავებელი, 300 ათასი ძანეთის ელექტროსაიზოლაციო მასალები, 2 მილიონი მანეთის მსუბუქი მრეწველობის მოლიანი პროდუქცია. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 1.500 ტონა პირველადი გადამუშავების ბაიხაო ჩაი, ერთი მილიონი ბოთლი ბორჯომის მინერალური წყალი, 200 ათასი დეკალიტრი ღუდი, 800 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 500 ტონა სოიის ზეთი და 500 ტონა ხორცი.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მშრომელებს შეგებული აქვთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების წარმოებას და პირობას იძლევიან, რომ მიმდინარე წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ ათასობით ტონა აზოტიან სასუქებს, შაბიამანს და ათთვისებებენ გოგირდპენტონიტის გამოშვებას.

მრეწველობის მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ, რომ გამოიყენონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ყოველმხრივ განავითარონ შემოქმედებითი თანამშრომლობა სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან და ვადამდე ათთვისონ 20 ახალი სახეობის მექანიზმების, მანქანებისა და აპარატების სამრეწველო წარმოება, მათ შორის: ავტომატარებელი, რომლის შემადგენლობაშია უნაგირა საწყვარი კაზ-608 და საერთო დანიშნულების 11-12 ტონა ტვირთამწეობის ორღერძიანი მისაბმელი, მილსაჭრელი ჩარხი 9დ 152 მოდელის ნავთობის მილებისათვის, უნივერსალური გამოსახდელი აპარატი პან-9, ელექტროვიბრაციული ცხავი ცხელი აგლომერატისათვის „ტ209-გრ, „ბვ“ სერიის ელექტროვიბრაციული ბუნკერები და სხვ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წარმოების ტექნიკური დონის შემდგომ ამაღლებას და გადაწყვეტს თავიანთ საწარმოებში დანერგონ 40 ავტომატიზებული, მექანიზებული და კომპლექსური ხაზი.

საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკები პირობას დებენ, რომ გაუმჯობესონ სახალხო მეურნეობისათვის დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარისხი და შეამცირებენ მათი დამთავრების ვადებს.

რესპუბლიკის მშენებლები ვალდებულებას კისრულობენ, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიურ გეგმას ვადამდე, 25 დეკემბრისათვის შეასრულებენ, ხოლო საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმას — 20 დეკემბრისათვის. სამუშაოების თვითღირებულებას შეამცირებენ 2,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებას გაადიდებენ 6,6 პროცენტით, ახალი სასწავლო წლის დადგომისათვის ააშენებენ და საექსპლოატაციოდ გადასცემენ 27 ზოგადსაგანმათლებლო სკოლას, სკოლა-ინტერნატების 3 სასწავლო კორპუსს და 26 საბავშვო დაწესებულებას.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## სახელოვანი გზა

### საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 43 წლისთავისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 46 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

24 თებერვალს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 43 წლისთავს და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 46 წლისთავს.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში არიან წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ბ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მეტვანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუსვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მინისტრები, მეცნიერები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში სხდომის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

სალამოზე გამოვიდნენ: ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ა. მელიქიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ვ. ნ. ბარანიუკი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ვ. ჩახავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ა. მ. მენთეშაშვილი, თბილისის ფაბრიკა „კრწანისის“ მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. მ. პანკოვა, პოეტი ალიო მირცხულავა, კამვოლ-მაუდის კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ი. ჩიტაშვილი.

ამხ. ა. ე. მელაძე სხდომას დახურულად აცხადებს. გაისმის „ინტერნაციონალის“ დიდებული მელოდია.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის დიდი კონცერტი გაიმართა. (საქდესი).



ენს ოტო კრაგი

## დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი

19 თებერვალს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი მეუღლითურთ.

ე. ო. კრაგი თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეა.

დაბადა 1914 წლის 15 სექტემბერს ქალაქ რანერსში.

1940 წელს ე. ო. კრაგმა კოპენჰაგენის უნივერსიტეტი დაამთავრა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

ე. ო. კრაგის პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ დაკავშირებულია დანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ომისშემდგომ პერიოდში დანიის ს.-დ. პარტიის ეკონომიური პოლიტიკის დაშუშაკებაში.

1947 წელს ე. ო. კრაგი არჩეულ იქნა ფოლკეტინგში (პარლამენტში) სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან და მას შემდეგ უცვლელად არის ფოლკეტინგის დეპუტატი.

იმავე წელს ე. ო. კრაგი მთავრობაში შევიდა როგორც ვაჭრობის, მრეწველობისა და ნაოსნობის მინისტრი. 1950-1952 წლებში იგი ვაშინგტონში დანიის საელჩოს მრჩეველი იყო ეკონომიკის საკითხებში, ხოლო 1953 წლიდან ე. ო. კრაგი მთავრობის შემადგენლობაში შედის და უჭირავს უპორტფელო მინისტრის, ეკონომიკისა და შრომის ნინისტრის (1953-1957 წწ.), საგარეო-ეკონომიური საკითხების მინისტრის (1957-1958 წწ.), საგარეო ხაქმეთა მინისტრის (1958-1962 წლები) პოსტები.

1962 წლის 3 სექტემბერს ე. ო. კრაგი გახდა დანიის პრემიერ-მინისტრი და იმავე წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

ე. ო. კრაგი ავტორია ბევრი მეცნიერული შრომისა სოციალ-ეკონომიურ პრობლემებზე.

ე. ო. კრაგი იმის მომხრეა, რომ მიღწეულ იქნას ურთიერთგაგება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, განვითარდეს ყოველმხრივ კონტაქტები სახელმწიფოებს შორის, მოლაპარაკებებს გზით გადაიჭრას საერთაშორისო პრობლემები.

დანიის მთავრობამ, რომელსაც სათავეში უდგას ე. ო. კრაგი, ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი მოსკოვის ხელშეკრულებას სამ გარემოში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, ანიჭებს რა ამ ხელშეკრულებას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, როგორც ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

თავის გამოსვლებში ე. ო. კრაგს არაერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ დანიის მთავრობის პოლიტიკაა უარის თქმა იმაზე, რომ დანიის ტერიტორიაზე განლაგებულ იქნას ატომური იარაღი.

ე. ო. კრაგი საბჭოთა კავშირთან დანიის ფართო ურთიერთობის განვითარების მომხრეა, ხაზგასმით აღნიშნავს ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტების მნიშვნელობას. იგი სამჯერ იყო საბჭოთა კავშირში — 1946, 1948 და 1954 წლებში. როგორც პრემიერ-მინისტრი ახლა პირველად ეწვია ჩვენს ქვეყანას.

ე. ო. კრაგის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და დანიას შორის ურთიერთგაგების შემდგომ განმტკიცებასა და თანამშრომლობის განვითარებას.









# თავისუფალი ხალხის გეზით

## საბჭოთა საქართველოს დღესასწაული

(დასასრული)

დგომ წლებში დაიწყო, ხოლო 1955 წელს კომბინატი უკვე მთლიანი მეტალურგიული ციკლით მუშაობდა. დღეისათვის რესპუბლიკა უშვებს 800 ათას ტონამდე თუჯს, 1300 მილიონ ტონა ფოლადს, თითქმის 1000 ტონა ნაგლინს, 400 ათას ტონა ფოლადის მილს, 650 ათას ტონა კოქსს. გარდა მეტალურგიული მრეწველობისა, რუსთავში განვითარდა მრეწველობის სხვა დარგებიც. აქ აიგო რესპუბლიკაში ყველაზე მძლავრი ცემენტის ქარხანა, აზოტოვანი სასუქების ქარხანა, როგორც აღვნიშნეთ, კაპროლაქტამის სინთეზური ბოჭკოების, კორდისა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭირო საქონლის მისაღები საწარმოთა კომპლექსი და სხვ. თვითონ ქალაქი რუსთავი, რომელიც უკაცრიელ მინდორზე გაშენდა, დღეს თითქმის 8 ათეულ ათას მცხოვრებს ითვლის.

რესპუბლიკის სიამაყეა ზესტაფონის ფეროშენადნობთა და თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნები, რომელთა პროდუქციაც, გარდა საბჭოთა კავშირისა, მრავალ უცხო ქვეყანაში იგზავნება. დიდად გაიზარდა ქარხული მარგანეცის, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის მარგანეცის მადნის ამოღება. ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებული მძლავრი სამაგისტრალო ელექტრომავლები, სამაგრო ავტომანქანები მთელ საბჭოთა კავშირის ელექტრომაგისტრალებსა და გზატკეცილებს სერავენ და პირნათლად ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

არნახულად განვითარდა რესპუბლიკაში კვების, მსუბუქი, საფეიქრო მრეწველობა. ამჟამად საქართველოში ყოველწლიურად მზადდება 70 მილიონ მეტრზე მეტი ბამბეულის, შალეულის და აბრეშუმის ქსოვილი. თითქმის 11 მილიონი ეყვილი ფეხსაცმელი — 2,5 ეყვილი თვითეულ მოსახლეზე, მაშინ როცა 1927-1928 წლებში რესპუბლიკაში დამზადებული 1 ეყვილი ფეხსაცმელი მოდიოდა 13 მოსახლეზე. მზადდება ყოველთვე 120 მილიონი ქილა კონსერვი, სარეცხი მანქანები, სატრიკოტაჟო ნაწარმი, მზა ტანსაცმელი, ავეჯი. საქვეყნოდ განთქმული ღვინოები და მრავალი სახის სხვა პროდუქცია.

ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებული სამრეწველო ნაწარმი 60-ზე მეტ საზღვარგარეთულ ქვეყანაში იგზავნება. სულ საზღვარგარეთ იგზავნება 200 დასახელების საქონელი — ფეროშენადნობები და დაზგები, ფოლადის მილები და ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, ელექტროძრავები, შემდეგელი ავტომატები, ტრანსფორმატორები, მცურავი მიწასასრუტი დანადგარები, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მრავალი სახის პროდუქცია და სხვ.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ მოპოვებული მიღწევები. ახლა ჩვენს რესპუბლიკას მოჰყავს მთელ საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 96 პროცენტი, ციტრუსების — 98 პროცენტი. საქართველო მაღალხარისხოვანი ღვინოების, ხილის, თამბაქოს, აბრეშუმის, ეთერზეთოვანი და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია. გაიზარდა მეცხოველეობის სულადობა, ამაღლდა მისი პროდუქტიულობა. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მოწინავეთა გამოცდილების, აგროტექნიკური მიღწევების და სხვა პროგრესული მეთოდების დანერგვის შედეგად. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს პირნათლად მოიხადონ ვალი სახელმწიფოს წინაშე და მიჰყიდონ მას სულ უფრო მეტი და მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მიუხედავად ძლიერ ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მაინც შეძლეს გამარჯვებების მოპოვება გასულ წელს. ქართველმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს ჩაის აქამდე არნახული რაოდენობა — 186 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი და ერთხელ კიდევ დამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოლოცვა. ჩვენმა რესპუბლიკამ გასულ წელს შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ ყველა პირობა შექმნა ხალხის მატერიალური დონის ასამაღლებლად. ახლა ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად იმკის იმ მოსავალს, რომელიც კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით იყო დათესილი ჩვენს ქვეყანაში ამ წლების მანძილზე, სულ უფრო ფართოდ სარგებლობს იმ დაუშრეტელი შესაძლებლობებით, რომლებიც თვით ჩვენი სოციალისტური წყობის წიაღშია. ამის შედეგად ყოველწლიურად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის კულტურული დონეც. ამჟამად საქართველო უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რიცხვის მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში — ჩვენთან ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 38 უმაღლესდამთავრებული პირი, 166 მოსწავლე — სამჯერ მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დიდია ჩვენი რესპუბლიკის მიერ მოპოვებული მიღწევები, მაგრამ უფრო გრანდიოზულია მომავლის ამოცანები. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში ცხრაჯერ გაიზრდება. თუ, ვთქვათ, 1961 წელს კაპიტალდაბანდებათა რაოდენობამ საქართველოში დაახლოებით 284 მილიონი მანეთი შეადგინა, უახლოეს წლებში საშუალოდ 500 მილიონ მანეთს მიაღწევს, ხოლო შემდგომ ათწლეულში — ამასაც გადააჭარბებს. ამავე დროისათვის საქართველოში გამომუშავებულ იქნება ათობით მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც თითქმის 2-ჯერ მეტი იქნება 1960 წელთან შედარებით და 1.650-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

მნიშვნელოვნად გაიზრდება მანქანათმშენებლობის პროდუქციის, აგრეთვე თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფეროშენადნობთა წარმოება, აშენდება მრავალი სარწყავი სისტემა, ამოშრება ათასობით ჰექტარი დაჭაობებული მიწა, გაშენდება ათასობით ჰექტარი ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები, გაიზრდება მეცხოველეობის სულადობა, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება მომავალ ათწლეულში 1.600 მილიონ მანეთს მიაღწევს ნაცვლად 690 მილიონი მანეთისა 1959 წელს, ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციისა — 1.165 მილიონ მანეთს, ნაცვლად 383 მილიონი მანეთისა 1959 წელს.

დიდი მიღწევებით შეეგებნენ რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 43 წლისთავს. ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უკვე შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებას, სახავს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსახლეობის კვების პროდუქტებითა და მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეს.

ქართველი ხალხი ძალასა და უნარს არ დაიშურებს და კვლავაც თავდადებით იშრომებს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

## ვადამდე შეასრულოთ შვიდწლედის მეექვსე წლის დავალება

(დასასრული)

რესპუბლიკის ქიმიური ინდუსტრიის ობიექტების მშენებელთა კოლექტივები მხარს უჭერენ პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების მშრომელთა პატრიოტულ წამოწყებას, რომ გაიმაღლოს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო სიმძლავრეთა ფართოდ ამოქმედებისა და ეროვნული ეკონომიკისთვის საჭირო ნედლეულის, ნახევრფაბრიკატების, ტექნიკური ნივთიერებებისა და ტექნიკური ნაკეთობების ნაკადის ზეგეგმითი ზრდისა და ეკონომიკურ ეფექტიანობის ამაღლებისთვის, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის ინტენსიფიკაციისა და ავტომატიზაციის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ავტომატების, ავტოსატვირთების, ელექტრონული ტექნიკის, ელექტროძრავების, ელექტროტექნიკური ნაწარმის, ელექტროტექნიკური ფაიფურის, ელექტროიზოლაციური მასალების, ელექტროლიტური კონდენსატორების, ელექტრონული ლამპების, ელექტრონული ტექნიკის ელემენტების, ელექტრონული ტექნიკის ბეჭდვითი სქემ

# სასაზღვრო დავის გადაჭრის გონივრული გზა

## განიარაღება უნდა დაიძრას მკვდარი წერტილიდან

## საბჭოთა პარლამენტარეგი საფრანგეთში

მოსკოვი, 24 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრების მიწვევით სპეციალური „ილ-18“ თვითმფრინავით დღეს მოსკოვიდან საფრანგეთს გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ვ. პოდგორნი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ა. კაიროვი, ი. ს. სენინი, ვ. ა. კირილინი, ვ. მ. სირაძე, ა. ი. პოკრშკინი, ი. ე. პოლიაკოვი, მ. პ. გოროხოვა, ა. ა. გრომოვი, ვ. ვ. გრაჩოვი, ნ. ი. მამაი.

პარიზი, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

## პირველი შედეგები

ენენვა, 22 თებერვალი (საკდესი). საბჭოთა კავშირი და ამერიკა პრიორიტეტულად სხვადასხვანაირად უდგებიან განიარაღების პრობლემას, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს გ. დრაგუნოვი სსრ კავშირის წარმომადგენელმა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში ს. კ. ცარაპკინმა, რომელმაც შეაჯამა კომიტეტის სხდომების განახლების შემდეგ ერთი თვის მუშაობის შედეგები.

ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა „პროცენტული შემცირების“ შესახებ, თქვა მან, ითვალისწინებს, რომ განიარაღების ყველა ეტაპზე ატომური სახელმწიფოები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეინარჩუნებენ მიტანის საშუალებებს, რომლებიც შეძლებენ გამოყენებულ იქნეს რაკეტულ-ატომური ომის განსაჩადებლად. პირიქით, საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს, რომ განიარაღების მესამე ეტაპის ბოლომდე ატომურ სახელმწიფოებს მეტად მცირე რაოდენობით დარჩეთ რაკეტები მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ უზრუნველყონ უფლება თავდასხმის თავიდან აცილება.

საბჭოთა წინადადება, აღნიშნა ს. კ. ცარაპკინმა, მოიწონა 18 სახელმწიფოს კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები თავს არიდებენ შეთანხმების მიღწევას ამ მტანსმტად დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

## მოლაპარაკეგა დამთავრდა

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. (საკდესი). პალმ-სპრინგსში (კალიფორნია) დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონისა და მექსიკის პრეზიდენტ ლოპეს მატეოსის ორი დღის მოლაპარაკება. შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე.

კომუნიკეში ორივე პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ პატივს სცემენ ხალხთა უფლებას იცხოვრონ მშვიდობიან, ავრეთვე ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. მექსიკისა და შეერთებული შტატების პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ არა სიტყვით, არამედ თავიანთი საქმეებით განახორციელებენ ამ პრინციპებს როგორც ლათინური ამერიკის კონტინენტზე, ისე მთელ მსოფლიოში.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე პრეზიდენტი შეთანხმდნენ კვლავ გაალმერონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია და მეტი ავტორიტეტი შეუქმნან მას, „რომელიც ამერიკის რესპუბლიკის ინსტრუმენტია დასავლეთ ნახევარსფეროში მშვიდობის დასაცავად და მათი საერთო ინტერესების უზრუნველსაყოფად“.

## დინ რასკი მიესალმება

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დ. რასკი, რომელიც ახლა პალმ-სპრინგსში (კალიფორნია) იმყოფება, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის პრეზიდენტებს შორის, მიესალმა დღეს მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურული გაცვლის შესახებ.

ახალი შეთანხმება, — განაცხადა რასკმა, — ემყარება უკანასკნელი ექვსი წლის წარმატებთის გამოცდილებას და განაგრძობს სხვადასხვა დარგში, კერძოდ ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკისა და განათლების დარგში მზარდ და სულ უფრო სასარგებლო გაცვლათა ტენდენციას“.

# მოწონეგა, მხარდაჭერა

### გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

მოსკოვი, 22 თებერვალი. (საკდესი). თავის პასუხში ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე ტუნისის პრეზიდენტი ჰაბიბ ბურგიბა აღნიშნავს: „ეს დოკუმენტი მოწმობს, რომ სსრ კავშირის მთავრობა ესწრაფვის საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებას“ და „იძლევა მთელი რიგი ძნელი პრობლემების, კერძოდ, ტერიტორიული და სასაზღვრო დავის კონკრეტული გადაჭრის გზას“.

ტუნისის პრეზიდენტი მაღალ შეფასებას აძლევს მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ეს ხელშეკრულება პირველი ნაბიჯია, რომელსაც შეუძლია დასახოს სხვა შეთანხმებათა გზები საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად, რომელსაც მთელი კაცობრიობა ესწრაფვის“.

„ტუნისი, — ნათქვამია წერილში, — აცხადებს, რომ დადებითად ეკიდება იმ საერთაშორისო შეთანხმების დადებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები იკისრებენ, რომ უარყოფენ ძალის ყოველ გამოყენებას ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო საკითხთა გადასაჭრელად“.

დასასრულ პრეზიდენტი ბურგიბა აყენებს წინადადებას საფუძველი ჩაეყაროს საერთაშორისო ორგანოს, რომელიც უფლებამოსილი იქნება გამოამჟღავნოდეს სამართლებრივი გადაწყვეტილებანი, და საერთაშორისო ძალას, რომელიც უფლებამოსილი იქნება განახორციელოს ეს გადაწყვეტილებანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 1963 წლის 31 დეკემბერს წერილი გაუგზავნა სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს, ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I საპასუხო წერილით მიმართა საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

„ჩვენ სავსებით ვეთანხმებით თქვენს წერილში ჩამოყალიბებულ დებულებებს,—ნათქვამია ჰაილე სელასიე I წერილში, — და ყველა ადამიანი მადლობელი უნდა იყოს პოზიტიური ღონისძიებებისათვის, რომლებიც მიღებულია უკანასკნელი თვეების მანძილზე, ღონისძიებებისათვის, რომლებსაც, თუ კეთილსინდისიერად შესრულდება, შეუძლიათ მეტად დიდი წვლილი შეტანონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

თქვენ, უთუოდ მართალი ხართ, როცა აცხადებთ, რომ ხალხებს შორის კონფლიქტების ძირითადი მიზეზია ტერიტორიული დავა“.

შემდეგ წერილში ეთიოპია განმარტავს ტერიტორიულ დავას ეთიოპიასა და სომალის რესპუბლიკას შორის და გამოთქვამს ზოგიერთ ხელმძღვანელობდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპებით. ჩვენთვის მუდმივი უკანასკნელი ეტაპია ეროვნული ჯარისაკაცების ძალთან გამართულ საზეიმო ღონისძიებებზე 1937 წელს და მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი პარადის დროს 1939 წელს. და მართლაც, იმ ჰიტლერს საერთო არა ჰქონდა რა ადამიანთან, რომელსაც მე 1945 წლის 25 მარტს წარვუდექი და რომელმაც დაღლილად გამომშვიდობა დასუსტებული, აკანკალებული ხელი.

მე დავინახე მხოლოდ ეს ბეხრეკი და თავს ნებას ვერ მივიცემ სხვა რაიმე აზრი გამოთქვა ჰიტლერზე, როგორც ადამიანზე, გარდა იმისა, რომელიც დიქტატორზე თვითეულს შეიქმნა მისი მოქმედების, ღონისძიებებისა და მათი საშინელი შედეგების საფუძველზე. ჩემს შთაბეჭდილებებს მოკლედ თუ გამოვთქვამ, ეს იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა, რომ წაადო თამაში და ძალა აღარ ჰქონდა დაეფარა ეს. ფიზიკურად ჰიტლერი საშინელ სურათს წარმოადგენდა: ძლიერს და მოუქნელად მოძრაობდა, სხეულის ზედა ნაწილს წინ ხრიდა, ფეხებს მეითრევდა, როცა თავისი საკუთარი სათავესთან ბომბსაფარის სამოშაო კაბინეტში ჯერ მენახა თვალის მოკვრით: დაღუპული ჯარისაკაცების ძეგლთან გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე 1937 წელს და მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი პარადის დროს 1939 წელს. და მართლაც, იმ ჰიტლერს საერთო არა ჰქონდა რა ადამიანთან, რომელსაც მე 1945 წლის 25 მარტს წარვუდექი და რომელმაც დაღლილად გამომშვიდობა დასუსტებული, აკანკალებული ხელი.

მე დავინახე მხოლოდ ეს ბეხრეკი და თავს ნებას ვერ მივიცემ სხვა რაიმე აზრი გამოთქვა ჰიტლერზე, როგორც ადამიანზე, გარდა იმისა, რომელიც დიქტატორზე თვითეულს შეიქმნა მისი მოქმედების, ღონისძიებებისა და მათი საშინელი შედეგების საფუძველზე. ჩემს შთაბეჭდილებებს მოკლედ თუ გამოვთქვამ, ეს იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა, რომ წაადო თამაში და ძალა აღარ ჰქონდა დაეფარა ეს. ფიზიკურად ჰიტლერი საშინელ სურათს წარმოადგენდა: ძლიერს და მოუქნელად მოძრაობდა, სხეულის ზედა ნაწილს წინ ხრიდა, ფეხებს მეითრევდა, როცა თავისი საკუთარი სათავესთან ბომბსაფარის სამოშაო კაბინეტში მიდიოდა. უჭირდა წონასწორობის შენარჩუნება. თუ ამ მოკლე, 20-30 მეტრი სიგრძის გზაზე შეაჩერებდნენ, იგი უნდა დამჯდარიყო აქ ორივე კიდეთან გაყოლებით სპეციალურად დადგმულ ერთ-ერთ სკამზე ან ხელებით ჩასვებოდნდა თავის თანამოსაუბრეს.

ჰიტლერს თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა. თუმცა მისთვის განკუთვნილი ყველა დოკუმენტი და ქაღალდი იბეჭდებოდა სპეციალურ „ფიურერის მანქანებზე“, რომელთა ასოების სიდიდე 3-ჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივი საწერი მანქანების ასოთა ზომას, მას წაკითხვა შეეძლო მხოლოდ ძალიან ძლიერი სათვალეთ. ტუჩის კუთხეებიდან ხშირად დორბლი ჩამოსდიოდა — საცოდავი და საზიზღარი სურათი იყო.

ფიზიკურ მდგომარეობასთან შედარებით სულიერად ჰიტლერი კიდევ მხნედ იყო. მართალია, ზოგჯერ ემნიერა მოქანცვის ნიშნები. მაგრამ ჯერ კიდევ ხშირად ახდენდა თავისი განსაცვიფრებელი მეხსიერების დემონსტრირებას, რომლითაც (უმთავრესად ეს ეხება ციფრობრივ და ტექნიკურ მონაცემებს) ყოველთვის აოცებდა თავის გარშემო მყოფთ, რის შედეგადაც მის არგუმენტებს დამაჯერებლობა ეძლეოდა, მათი გაბათილება ძნელი იყო.

მის უნარს — მდგომარეობის სწრაფად შეფასების უნარს მკვეთრად უპირდაპირდებოდა აზროვნების მოქნილობის უქონლობა და ჯიუტობა, რომლითაც იცავდა ერთხელვე დასახულ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზანს. ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევდა თავისთვის დასახულ გზას, მაშინაც კი, როცა მიზნის მიღწევის არავითარი წანამძღვარი აღარ არსებობდა. იგი ამ გზით თითქოს თვალახვეული მიდიოდა, არც მარცხნივ იხედებოდა, არც მარჯვნივ.

უკმაყოფილოდ და ჯიუტად უარყოფდა ყველა ცდას დაეხატათ მისთვის ნამდვილი ვითარება და დაემტკიცებინათ, რომ ჯარები დაიღალნენ, რომ მათი ბრძოლისუნარიანობა განუწყვეტლივ ეცემა საშინელი დანაკლისის გამო, შეესვლის ნაჩქარევი და ამიტომ არასაკმარისი საბრძოლო მომზადების გამო, რომ თითქმის არავითარი მატერიალური და ადამიანთა რეზერვები აღარ არის — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანია სამხედრო დამარცხების წინაშეა. იგი ისე ვიფიქრეთ სიცოცხლის ამ ქსელში, რომელიც თვითონ ქედილობდა სხვები გაეხვია და წარმატებით აკეთებდა ამას მრავალი წლის განმავლობაში, რომ აღარ შეეძლო თავი დაეღწია იქიდან. მე შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იგი თვითონ გახდა თავისი სიცოცხლის უდიდესი მსხვერპლი, რომ ამ სიცოცხლემ, შესაძლოა, უწინარეს ყოველისა თვითონ იგი შეიჭიყანა შეეცდომაში. მას თვითონ სჯეროდა დივიზიების რაოდენობა, რომლებიც ხშირად ძარტო შტაბებს წარმოადგენდნენ, რეალურ აღნიშნული ეკუნენ ალმებით და ბრძოლისუნარიანან შესაერთოთა შთაბეჭდილებას ქმნიდნენ. მას თვითონ სჯეროდა, რომ სასწაულებრივი იარაღი ჰქონდა, იმიტომ რომ უნდოდა ასეთი რწმენა ჰქონოდა. ყოველი სამხედრო წარმატებლობა მხედართმთავართა გამაცამლობად, მათ სამარცხვინო უმწეობად, ჯარების ლაჩრობად მიჩნდა, იმიტომ რომ არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ჯარების სულიერი და ფიზიკური ძალები ზომაზე მეტად დაძაბული იყო.

ROცა 21 აპრილის წინაღამეს მოგახსენებდი ჰიტლერს, რომ საბჭოთა ჯარები ბერლინურ კოტბუსის რაიონში, რომაც ალმოსავლეთის ფრონტის დამხობა და ბერლინის გარშემორტყმა გამოიწვია, მე მასთან — ეს ერთადერთი შემთხვევა იყო — პირისპირ, მარტო ვიყავი. ამაზე რამდენიმე საათით ადრე ჰიტლერმა მიიღო გადაწყვეტილება გადაეტანა თავისი მთავარბანაკი ეგრეთწოდებულ „ალპების ციხესიმაგრეში“, ე. ი. ბერხტესგადენის რაიონში და მის სამხრეთით. მაგრამ ეს სამაგრე მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ზურგის რამდენიმე ორგანოს შექმნის გარდა არაფერი არ იყო მომზადებული ამ „რეფუტის“ დასაცავად. ბრძანებამ უმაღლესი შტაბების ალპებში გადაყვანის შესახებ ის ემბრიონი, რომ იმ ღამეს ყველანი, ვინც საიმპერიო კანცელარიაში იმყოფებოდა და ჩვეულებრივად ინტერესს იჩენდა ოპერაციების თაობრებისადმი, თავიანთი მრავალრიცხოვანი ბარგის შეკვრითა და დატვირთვით იყვნენ გართულნი. სტენოგრაფისტიც კი არ გამოკცხადებულა. საჭირო გახდა სპეციალურად დაებარებინათ მდივანი ქალი, რომ სტენოგრაფიულად ჩაეწერა ჩემი მოხსენება. ჰიტლერი ყურადღებით ისმენდა ტრაგიზმით აღსავსე მოხსენებებს, მაგრამ ყველა ვერაფერი ვერ მონახა საბჭოთა ჯარების წარმატების ასახსნელად, გარდა სიტყვისა „გამცემლობა“.

— ჩემო ფიურერ, — ვკითხე მე, — თქვენ ისე ბევრს ლაპარაკობთ სამხედრო სარდლობისა და ჯარების გამცემლობაზე. გკერდთ თუ არა, რომ მართლაც ამდენი გამცემლობა ხდება?

ჰიტლერმა თითქოს თანაგრძნობის გამომეტყველებით გადმომხედა, რითაც გამოხატა, მხოლოდ რეგვენს შეუძლია ასეთი სულელური კითხვის მოცემაო, და მითხრა:

— აღმოსავლეთში ყველა წარუმატებლობა მხოლოდ გამცემლობით აიხსნება... იმ დღეებში იგი მუდამ ცდილობდა დაეარწმუნებინა თავის გარშემო მყოფნი, რომ ამერიკელები და ინგლისელები არ დატოვებდნენ მას გაქირვებაში (სიტყვასიტყვით!) როგორც დასავლეთის კოლტურისა და ცივილიზაციის პირველ დამცველს ალმოსავლეთის ბარბაროსებისგან, რომ ისინი დაზავებას შეასთავაზებდნენ, რათა შეძლებოდა წარმატებით გაენაგრძო ბრძოლა საბჭოების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ამ ბრძოლაში მატერიალურ დახმარებასაც კი გაუწევდნენ მას. როცა მიღებულ იქნა ცნობა რუზველტის სიკვდილის შესახებ, „თეთრების ბუნკერში“ ეს განწყობილება გულდაჯერებულობადაც კი გადაიქცა, რომ დასავლეთთან ომი დამთავრებულია. აკეთებდნენ ისტორიულ პარალელებს ელისაბედის სიკვდილთან, რამაც ფრიდრიხ მეორეს შესაძლებლობა მისცა თავიდან აეცილებინა შეიდწლიანი ომის არახელსაყრელი დასასრული. აქ ალბათ ერთგვარი როლი შეასრულა ჰიტლერის მისწრაფებამ თავი შეედარებინა ფრიდრიხ დიდისათვის.

21 აპრილს წინაღამით მე უკვე ვაპირებდი დამეტოვებინა ოპერატიული თაბირების სათავესი. ამ დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკმა დესპანმა ჰეიდემა კარში თავი შემოჰყო და ჰკითხა:

— ჩემო ფიურერ, გაქვთ თუ არა ჩემთვის რაიმე ბრძანება?

როცა ჰიტლერმა უპასუხა, ბრძანება არ იქნებაო, ჰეიდემა უთხრა:

— ჩემო ფიურერ, ახლა 12 საათს ხუთი წამი აკლია. თუ განზრახული გაქვთ ქედევ რაიმეს მიაღწიოთ პოლიტიკის საშუალებით, ამაზე უფრო გვიან არაფრის გაკეთება აღარ იქნება შესაძლებელი.

ჰიტლერი ნელა ტოვებდა სათავესს, ძლივს მეითრევდა ფეხებს და წყნარი, მთლად შეცვლილი ხმით უპასუხა:

— პოლიტიკა? მე პოლიტიკას აღარ ვეწევი. შემხზიდოდა. როცა მკვდარი ვიქნები, თქვენ ხშირად მოგიხდებათ ეწეოდეთ პოლიტიკას.

მას ხმაში ისმოდა უდიდესი იმედგაცრუება. იმის შეგრძნება, რომ კაცმა ყველაფერი წაადო. ამ სიტყვებმა, ამ ხმამ შემაძრწუნა.

— „მე პოლიტიკას აღარ ვეწევი“ — იგი უკვე მრავალი წელია აღარ ეწეოდა პოლიტიკას, ყველაფერში იმედი დაამყარა მხოლოდ ერთ რაიმეზე — ომზე. შესაძლოა, პოლიტიკა „შეხზიდული“ ჰქონდა უკვე მთელი რიგი წლების განმავლობაში, იმიტომ რომ იცოდა, თუ რა უბადრუკ როლს ასრულებდა იგი პოლიტიკაში ჩერჩილთან, რუზველტთან, სტალინთან შედარებით, იცოდა, რომ როგორც მთლად ბაკურებული კაცი, მთელი მსოფლიოსათვის სასაცილო გახდებოდა. იმდენად ხომ არ ეშინოდა ამ ბედისა, რომ ხედავდა მოლაპარაკების წარმოების მხოლოდ ერთ გზას — თუ იქნებოდა ომში გამარჯვებული და დიდების შარავანდედით მოსილი, რაც დაფარავდა ყველა მის სუსტ მხარეს? ესმოდა თუ არა ჰიტლერს, თუ რაოდენ არ შეესაბამებოდა ის, რაც იგი სინამდვილეში იყო, ისას, რაც სურდა ყოფილიყო? თუ იგი ამჯობინებდა მსოფლიო ისტორიაში შესულიყო როგორც ყველა დროის უდიდესი დამნაშავე, ვიდრე დაეშვა, რომ მისთვის ყველას დაეცინა?

**„ვოენნო-ისტორიჩესკი ჟურნალ“ № 4.**

**„დასასრულის წინ კიტლერის მთავარბანაკში“— ნაწყვეტი გენერალი შტაბის უცნობი ოფიცრის — ჰიტლერის მთავარბანაკის უკანასკნელ დღეთა მოწმის ჩანაწერებიდან. ჩანაწერები ქვეყნდება დასავლეთ გერმანიაში გამოცემული, შემოკლებით თარგმნილი „გერმანიის შეიარაღებული ძალების მაღლესი მთავარსარდლობის 1940-1945 წლების დღიურიდან“.**

როგორც ცნობილია, ჰიტლერის დღის უცნაური განრიგი ჰქონდა. ჩვეულებრივ მას ეძინა დღის პირველ ნახევარში ბუნკერში. 16 საათს იწყებოდა ოპერატიული თათბირი. თათბირზე იგი ისმენდა შეიარაღებული ძალების ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბის უფროსის, სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის, სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალური შტაბის უფროსისა და სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის მოხსენებებს უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მომხდარ ამბებზე. ამ თათბირებში, რომლებიც იმართებოდა სამუშაო ბომბსაფარში საიმპერიო კანცელარიის ბაღში, მუდამ მრავალი ადამიანი იღებდა მონაწილეობას, „რომელთაგან იქ ბევრს ფაქტიურად არაფერი ესაქმებოდა.

პატარა სათავსში ადგილის პოვნა ძნელი იყო, იქ მყოფნი შიგაგუფულნი იდგნენ მაგიდის გარშემო, რომელზეც გადაწლილი იყო ოპერატიული რუკა და რომელსაც უჭდა მხოლოდ ჰიტლერი. ცოტა მოშორებით რამდენიმე სტენოგრაფისტი იჯდა.

განუწყვეტელი სიარული და ჩმადაბალი ლაპარაკი უკანა რიგებში ზშირად უშლიდა მუშაობას, მაგრამ ჰიტლერს, როგორც წესი, ამის საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა. მოხსენებათა მოსმენის შემდეგ იგი აცნობდა დამსწრეთ თავის გადაწყვეტილებებს შემდგომი დღის შესახებ. ამასთან მხოლოდ ზოგჯერ უგდებდა ყურს გენერლების წინადადებებს. როგორც წესი, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ოპერატიული თათბირი დაიწყებოდა, მას ჰქონდა თავისი ჩამოყალიბებული აზრი, ან, შესაძლოა, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა ჯერ კიდევ დღის პირველ ნახევარში თავისი ადიუტანტების მოხსენებებისა და ბორმანთან, ბორგდორფთან და ფეგელეინთან მოლაპარაკების საფუძველზე. ზოგჯერ, როცა რომელიმე გაუთვალისწინებელი მოვლენის შედეგად სულ უკანასკნელ მომენტს ვითარება შეიცვლებოდა ხოლმე, იწყებოდა ხანგრძლივი, უფრო თავისუფალი დისკუსია, რომელშიც, გარდა მაკარსარდლისა და გენერალური შტაბების უფროსებისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბორმანიც, მაგრამ მიტ წილ შემთხვევებში დისკუსია მაინც მთავრდებოდა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებათა დამტკიცებით. ამ გადაწყვეტილებებს ჩვეულებრივ 18 და 19 საათებს შუა ტელეფონით გადასცემდნენ თანმხლები ოფიცრები შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის, სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერატიულ ჯგუფის ან ოპერატიული გაყოფილების უფროსი ან ამ განყოფილების რომელიმე წამყვანი ოფიცერი ერთხელ კიდევ შეაღებინეს მიდიოდა ბერლინში, რათა პირადად მოეხსენებინა ჰიტლერისათვის გასული დღეღამის შემაჯამებელი ცნობები. ჰიტლერი ცნობებს ხშირად დილის 3 საათამდე ისმენდა.

1945 წლის მარტის დამლევს პირველად დაკვსწარი ოპერატიული თათბირს. საიმპერიო კანცელარიის ბაღში მდებარე ბომბსაფარში შესვლისას ჩამომართვეს პისტოლეტი, რამაც ძალიან გამაწბილა. უფრო მეტიც, კორეტბოლი და თავსაბანი, მაგრამ ჩემი აზრით, მაინც დამამცირებელი ჩხრეკა მომიწყეს, აგრეთვე დაათვალიერეს ჩემი საქაღალდე. ეს იყო სიფრთხილის ზომა, რაც ამას მოწმობდა, თუ რაოდენ გამწყვეტილი იყო უნდობლობის ატმოსფერო „ფიურერის“ გარემოცვაში. ეს მგონია, რომ ძალმიძღეს ამ ატმოსფეროს აღწერა. მლიქნელობის, ნერვიულობისა და სიყალბის სულისკვეთება არა მარტო მორალურად ახშობდა თვითეულს, არამედ მასში ფიზიკური ზიზღსაც იწვევდა. იქ ბეშმარიტი არა იყო რა, გარდა შიშისა, ყველა ელფერის შიშისა, დაწყებული ომის შიშით, რომ გამოეწვიათ „ფიურერის“ გულისწყრომა, რაიმე მოუფიქრებელი სიტყვით განერისებენთან იგი, და დამთავრებული ცხოვარელური შიშით საკუთარი სიცოცხლისათვის დრამის მოახლოებული დასასრულის მოლოდინში. ჩვეულებისამებრ ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო გერეგანი ფორმები, მაგრამ აპრილის შუა რიცხვებიდან ისინი თანდათანობით ქრებოდა.

დიდად შეძრწუნებული ვიდეგნებდი თვალს, თუ როგორ ცდილობდნენ ადამიანები, რომლებიც უმაღლეს ხელმძღვანელობას ეკუთვნოდნენ, დაეფარათ თავიანთი მდგომარეობა სრული უწყობისა და ყოლეჯობისა, და თავიანთ წარმოსახვაში ხატავდნენ სინამდვილის სავსებით დამახინჯებულ სურათს, რომლის სიყალბე ყველა იქ მყოფისათვის ცხადი იყო.

**ს**ამხედრო ხელოვნება აქ ხელოსნობამდე იყო დაყვანილი. ოდესღაც ჩინებულად მოქმედი დაჩანა ახლა მუშაობდა წყვეტებით, დაკუშები გაცვეთილიყო, ანთება არ მოქმედებდა, და მანქანა გრეხენითა და ღრჭიალით ამშეებოდა ნაწილებად. პასუხისმგებლობაზე არავინ არ ლაპარაკობდა. საერთოდ ფიქრობდნენ კი პასუხისმგებლობაზე?

სანამ პირველად წავიდოდი საიმპერიო კანცელარიაში, ერთმა უფროსმა ოფიცერმა მითხრა, მზად უნდა იყო იმისათვის, რომ ჰიტლერს დაინახავ სულ სხვა ადამიანად, ვიდრე მას იცნობდი ფოტოსურათებში, დოკუმენტური ფილმებითა და წინანდელი შეხვედრებით, სახელდობრ: ულლურ ბეხრეკსო. მაგრამ რაც ვნახე, იმან ბევრად დადაჭარბა ჩემს მოლოდინს. წინათ ჰიტლერი მხოლოდ ორ-სამ ნაბიჯს დგამდა ხოლმე, ახლა ნელ-ნელა, ფეხებს ათრევდა, ოდნავ ოთხფეთა ბეხრეკივით. ეს ბეხრეკი ეკეთა ულლად ორივე ფეხზე. ეს ულლი ეკეთა ორივე ფეხზე. ეს ულლი ეკეთა ორივე ფეხზე. ეს ულლი ეკეთა



# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## საბჭოთა საქართველო უცხოელის თვალით

## ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲨᲘ

ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს ტერიტორიაზე კაპიტალური ორსართულიანი შენობაა. ეს არის მაღაროელთა ღამის სანატორიუმი, სადაც ყოველთვიურად ლენინის სახელობის მაღაროს 35 მუშა და ახალი ითხვისის მაღაროს 15 მუშა ისვენებს. სანატორიუმი ერთდროულად 50 მაღაროელს ემსახურება.

მაღაროელთათვის აქ შექმნილია დასვენება-გართობისა და სამედიცინო მომსახურების საუკეთესო პირობები.

Ე. ᲯᲮᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

## ᲓᲐᲠᲩᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔ ᲘᲪᲕᲐᲚᲐ

დარჩელი ზუგდიდის რაიონში ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია.

ბევრი რამ გაკეთდა აქ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. გალამაზდა და დამშვენდა სოფლის ცენტრი: აიღეს ძველი ხის ნაგებობანი და მათ ნაცვლად აშენეს ორსართულიანი კაპიტალური შენობა საყოფაცხოვრებო კომბინატისათვის, ააგეს აგრეთვე სასადილო-პავილიონი. რეკონსტრუქცია გაუკეთდა კულტურის სახლს, ხოლო კოლმეურნეობის საერთო კრებამ სოფლის საავადმყოფოს გადასცა ორსართულიანი კაპიტალური შენობა 19 ოთახით, რომლის კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებს შეფი ორგანიზაცია — ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 43-ე წლისთავისათვის ხაექსპლოატაციოდ გადაეცა მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი. მშენებლობის პროცესშია დარჩელის საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა 400 მოსწავლისათვის. ამ საზეიმო დღეებში სოფლის ცენტრი და კოლმეურნეთა ოდა-სახლები ილიჩის ნათურებმა გააჩირაღდნეს.

Ა. ᲐᲠᲜᲐᲜᲘᲐ.

## ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ 40 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

იყო დრო, როცა ახმეტაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. სწორედ მაშინ, ამ 40 წლის წინათ, ახმეტაში გაიხსნა ქოხ-სამკითხველო — ერთადერთი კულტურული დაწესებულება მთელ სოფელში. ქოხ-სამკითხველოს პირველად სულ რამდენიმე ათეული წიგნი ჰქონდა.

დღეს კი იგივე ქოხ-სამკითხველო დიდ და მდიდარ ბიბლიოთეკად გადაიქცა, რომლის განკარგულებაშია დიდძალი ლიტერატურა ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. ახლა ბიბლიოთეკაში, აქვს საუკეთესო წიგნთსაცავი, სამკითხველო დარბაზი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 43-ე წლისთავზე ახმეტელები თავიანთი ბიბლიოთეკის დაარსების 40 წლისთავსაც იზეიმებენ.

Ი. ᲥᲘᲑᲐᲠᲝᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

## ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘᲗ

ლენტეხი. (საკ. კორ.). წინათ მთიანი სვანეთის გზებზე ურემსაც უჭირდა გავლა. ახლა კი აქ ავტომანქანები დაქრიან.

მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა უმრავლესობა კოლმეურნეები და სოფლის სპეციალისტები არიან. ამ დღეებში ლენტეხის ქუჩებში გამოჩნდა ახალი „ვოლგები“ და „მოსკვიჩები“. ერთ მათგანს ლენტეხის გაპასეულებული კოლმეურნეობის წევრი ბ. მუსელიანი ფლობს, მეორეს კი ვასუნდრის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის მემანდვრეობის ბრიგადირი ბ. დევდარიანი. პირადი დანაზოგით მსუბუქი ავტომანქანები შეიძინეს აგრეთვე საყდრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. გვიდიანმა, ზოოტექნიკოსმა ბ. ფურულიანმა და სხვ.

## ᲡᲐᲮᲔᲥᲐᲠᲘ ᲞᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲘ

დაბა ორჯონიკიძის მუშამოსამსახურეთა გავშვებისათვის ამენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საბავშვო ბაღის ლამაზი შენობა. ბაღი 100 ბავშვისათვის არის გათვალისწინებული.

Ჯ. ᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘᲫᲔ.

## ᲛᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ!

ჩემო მშვენიერო ქვეყანავ, დღეს შენი დაბადების 43-ე წლისთავს ვზეიმობთ. როგორ იზარდე და იხარე ამ ხნის განმავლობაში.

ქართული მიწა, მძლავრი ინდუსტრიისა და ვრცელი საკოლმეურნეო, ველების ქვეყანა, ჩაის, ვაზისა და ციტრუსების ოსტატთა, სახელოვან მეცნიერთა სამშობლო, მარადმზიანი სტუმართმოყვარე საქართველო აუარებელ მნახველს იზიდავს.

ვინ მოთვლის, რამდენი უცხო სტუმარი მოხიბლულა მარადიული მყინვარენით შებერული შენი ბუმბერაზი მთებითა და ყვავილნარებით მოქარგული ველ-მინდვრების ხილვით. ყველაზე მეტად შენი გამრჯე ხალხის, შენი მშენებელი ხალხის ცხოვრება აინტერესებთ სტუმრებს.

**ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა სიერა ლეონეს (დასავლეთი აფრიკა) სახალხო კონგრესის პარტიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი უოლეს ჯონსონი. აი რა თქვა მან:**

„საქართველოში პირველად 30-იან წლებში ვიყავი. ამიტომ ჩემთვის აღვილია იმ უდიდესი ცვლილებების დანახვა, რაც თქვენს ქვეყანაში მომხდარა ამ ხანის განმავლობაში. მაშინაც თბილისში და ბათუმში ვიყავი, ახლაც ამ მარშრუტით ვიმოგზაურე. თბილისში რას გავიდგბოდი, აქაური გამყოლი რომ არა მხლებოდა. ჩემს თვალწინ თითქმის ახალი ქალაქი გადაშალა. იგი გაზრდილა და დამშვენებულა. რამდენი ახალი მოედანი, ახალი ბაღი, ახალი სახლი და ქუჩა, მთელი ახალი ვეება უნენები შემატებია. მთაწმინდიდან რომ გადმოვიხედე, სახტად დავრჩი. ასე შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყნის დედაქალაქი გაიზარდოს, სადაც თვით ქვეყანაა ძლიერი და სწრაფად იზრდება. შავი ზღვის სანაპიროებზე რა ამბები მომხდარა! თუ წინათ ძალიან ბევრი აუთვისებელი, ეკალ-ბარდებითა და ჯაგნარით დაფარული ჭაობიანი ადგილები იყო, ახლა ირგვლივ ნამდვილი სამოთხეა. რამდენი ახალი სანატორიუმი და კურორტი გაშენებულა. მაშინ კოლმეურნეობები მხოლოდ ჩანასახში იყვნენ. ახლა ვიგებ, როდესაც კოლმეურნეობებსა და მის წევრთა ცხოვრებას გავეცანი. წინათ სიღვიდ მიჩნეულ საქმეს თავისი დიდებული ნაყოფი გამოუღია, კოლექტიური შრომის უპირატესობა აშკარა გამხდარა. აი ამას ჰქვია მეშამობა. ხალხს, რომელსაც ყოველივე ეს შეუქმნია, უდავოა ბრწყინვალე მომავალი აქვს“.

**საფრანგეთის ეროვნული აგრონომიული ინსტიტუტის პროფესორი რენე დიუმონი სპეციალურად იყო ჩამოსული საბჭოთა კავშირში ჩვენი სოფლის მეურნეობის გასაცნობად. იგი ეწვია საქართველოსაც. აი რას წერს იგი აქ გატარებულ დღეებზე.**

„მე საკუთარი თვალით ვნახე გურჯაანში, თუ რა საუცხოო შედეგები გამოიღო ამან (იგულისხმება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო). ამ სამმართველოში 26 სპეციალისტია, რომლებიც მოწოდებული არიან საერთო ხელმძღვანელობა გაუწიონ ოთხ საბჭოთა მეურნეობასა და 26 კოლმეურნეობას. მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორია სულ 113.000 ჰექტარს შეადგენს, ე. ი. ფრანგული დეპარტამენტის დაახლოებით მეოთხედს. მაშასადამე, ამ პროპორციის მიხედვით თვითეულ ჩვენს დეპარტამენტში 130 სპეციალისტი უნდა გვყავდეს. ამას უნდა დავუმატოთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების უშუალო ხელმძღვანელობაც, რაც ამ რიცხვს 160-მდე გაზრდიდა. ჩვენ კი ძალზე დაშორებული ვართ ასეთ შესაძლებლობას! აღმოსავლეთ საქართველოში, და ალბათ ასეა ყველგან, ბრიგადირთა დიდი უმრავლესობა ან უკვე დიპლომიანი აგრონომია, ან არა და ორ-სამ წელში მიიღებს დიპლომს დაუსწრებელი სწავლების მეშვეობით. ეს ახლებური სტრუქტურა აგრონომის „ცოდნას უშუალოდ საწარმოო უბანს ახმარს“.

მეორე ფრანგი მოღვაწე პროფესორი ჟიულ სოლეირნიი, რომელიც ორ კვირას იმყოფებოდა საქართველოში და ეცნობოდა ჩვენში განთლების მდგომარეობას, თავის სიტყვაში გამოსვლებში დიდ უპირატესობას აძლევდა საბჭოთა სასკოლო სისტემას. პროფესორმა სოლეირნიმა აღნიშნა საბჭოთა სისტემის უპირატესობა, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მიღებას ყველასათვის და არა მარტო შეძლებულთა კლასებიდან გამოსულთა შვილებისათვის.

**იუგოსლავიელი ჟურნალისტი შრანი ბარბიერი გაზეთ „ვიესტნიკში“ გამოქვეყნებულ წერილში ფართოდ ეხება საქართველოს კულტურას, მის მძლავრ ინდუსტრიულ ცენტრ რუსთავს.**

„როცა ქართველები უცხოელს უყვებიან თავიანთ ქვეყანაზე, — წერს იგი, — ორი სახელი აუცილებლად მეორდება რამდენჯერმე: რუსთავი და რუსთაველი. მე ვერ ავხსენი, მათ შორის რომელია ნაწარმოები — ქალაქს ჰქვია რუსთავი რუსთაველის სახელის მიხედვით თუ პირიქით. ასეა თუ ისე, ერთიცა და მეორეც სახელს უთქვამს საქართველოს. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნით“ ქართული ლიტერატურა უკვე მე-12 საუკუნიდან გამოვიდა მსოფლიო ასპარეზზე. რუსთავმა კი მთელი რევოლუცია მოახდინა საქართველოს ეკონომიკაში“.

...„ყოველი მეორე ღირსშესანიშნაობა საქართველოში ატარებს რუსთაველის სახელს. პოეტის სახელს ატარებს მოედანი, პროსპექტები, კინოთეატრი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, პარკი. თუ სიტყვების სტატისტიკას მოვახდენთ, რომელიც საქართველოში ყველაზე ხშირად იხმარება, მაშინ სიტყვა „რუსთაველი“ მეორე ადგილს დაიჭერდა „ქართულისა“ და „საქართველოს“ შემდეგ“.

**უცხოელი სტუმრები აღტაცებას გამოთქვამენ ქართველ მეცნიერთა წარმატებებით. ამას წინათ უნგრულ გაზეთ „ხეტფო სირეკში“ დაიბეჭდა ანდრაშ შუგარის წერილი „კიბერნეტიკული საოცრება საქართველოში“. ავტორი აღნიშნავს იმ დიდ მიღწევას, რაც მან ნახა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში.**

„მე აქ ვნახე საოცარი ავტომატი, რომელსაც ადამიანის სიტყვა მართავს... უცნაური გრძნობა გებადება, როცა უყურებ ამ პატარა ლითონის მანქანას, რომელიც მოძრაობს ადამიანის სიტყვიერი ბრძანების მიხედვით... აქვე ვნახე ქართველი კიბერნეტიკოსების მიერ შექმნილი „საბეჭდავი მანქანა“, რომელიც სიტყვებს, ციფრებს ბეჭდავს, ბირდაპირ კარნახის მიხედვით. მეცნიერი უკარნახებს „სამი“, „ხუთი“, „მეცამეტ“, „ნული“, „ინტერვალი“, მანქანა კი თვრა ქაღალდზე ბეჭდავს შესატყვის ციფრებსა და სიტყვებს“.

**1963 წლის უნგრულ ჟურნალ „ორსაგ-ვილაგის“ 24-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი „რაკეტები სეტყვის წინააღმდეგ“. წერილის ავტორი ვრცლად ეხება საქართველოში მევენახეობის განვითარებას, აღწერს, თუ რა მძიმე ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას სეტყვა.**

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკური ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სეტყვის საწინააღმდეგოდ. მათი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. სამი წლის წინათ მათ აღმოაჩინეს სეტყვის საწინააღმდეგო ორიგინალური კონსტრუქციის რაკეტა, რის დამბარებითაც შეუძლიათ შეაღწიონ სეტყვის ღრუბლებში... ამით ისინი ხელს უშლიან მსხვილი სეტყვის წარმოქმნას“. შემდეგ წერილში მოთხრობილია რაკეტების გაშვების მეთოდზე და იმაზე, თუ როგორ ფართოვდება წლიდან წლამდე საქართველოში სეტყვისაგან დასაცავი ფართობები.

## ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ „ᲐᲕᲠᲝᲠᲐ“ ᲠᲘᲝᲜᲖᲔ

**რევოლუციური სოლიდარობისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადების შესანიშნავი მაგალითებით მდიდარია ფოთის ნავსადგურის საბუქსირო გემის „ჟოროხის“ გმირული ისტორია.**

**1917-1921 წლებში მენშევიკებთან და უცხოელ ინტერვენტებთან ბრძოლის პერიოდში „ჟოროხის“ ეკიპაჟმა, რომლის კაპიტანი იყო ძველი რევოლუციონერი პარტიის წევრი 1917 წლიდან მოხა მაკალათია, ბევრი გმირული რეისი განახორციელა. მაგალითად, 1918 წლის თებერვალში „ჟოროხელებმა“ კატარღა „გამანადგურებელი“ გაიტაცეს და წითელი არმიის მეზღვაურებს გადასცეს. 1919 წ. ნოემბერში დიდი ბრძოლით თავი დაიღწიეს ინგლის-საფრანგეთის საშთვალყურო ხომალდებს და დიდძალი ნავთი გადაზიდეს ფოთის ნავსადგურიდან. საბჭოთა რუსეთში.**

**სამამულო ომის პერიოდში ამ გემის ეკიპაჟმა ბევრი პასუხსაგები საბრძოლო ოპერაცია განახორციელა. ომისშემდგომ წლებში „ჟოროხი“ კვლავ მწყობრში იდგა და ძვირფასი სახალხო-სამეურნეო ტვირთით სერავდა შავ ზღვას.**

**1950 წლიდან ვალმოხდილის საგზურით „ჟოროხმა“ ნავსადგურიდან მდინარე რიონზე გადაინაცვლა და ისტორიულ რელიკვიად იქცა. ახლა მის დასათვალიერებლად ზღირად მიდიან ექსკურსანტები, რომლებმაც მას სამართლიანად შეარქვეს პატარა „ავრორა“ რიონზე.**

Ჯ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.
Ვ. ᲒᲐᲒᲣᲐ.

• • •

**სურათზე:** „ჟოროხი“ მდინარე რიონზე.

## ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ

**ᲒᲣᲜᲓᲘᲗ** საინტერესო მოვლენის მოწმენი გახდნენ პატარა უზბეკური სოფლის კურგან-ტეპეს მცხოვრებნი: აქ ყვავისფერი თოვლი მოვიდა. ზოგან თოვლის საფარმა თხუთმეტ სანტიმეტრს გადაამეტა. დნობის დროს თოვლი სულ უფრო და უფრო მუქი ყავისფერი ხდებოდა.

სინოპტიკოსებმა ასე ახსნეს ფენრადი თოვლის მოსვლა კურგან-ტეპეში. ამას წინათ ყინულ-ყუთის უდაბნოში მტვრიანი ქარიშხლები ბობოქრობდნენ. მათ ატმოსფეროში აიტაცეს მტვრის მასები. მტვერი შეერია თოვლის მოძრავ ღრუბლებს და როცა აკიდა, ყავისფრად შეფერილი თოვლი წამოვიდა. (აას).

## ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲙᲝᲠᲓᲘ

23 თებერვალი მსოფლიო პირველობის უკანასკნელი დღე იყო ჩქარსნულ ციგურაობაში ვაჟთათვის.

ორი დისტანციის (500 და 5.000 მეტრი) შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა სპორტსმენი ე. მატუსევიჩი, რომელსაც 89,180 ქულა ჰქონდა. აბსოლუტური პირველობის ბედი დამოკიდებული იყო უკანასკნელი დისტანციის (1.500 და 10.000 მეტრი) შედეგებზე.

1.500 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა ნორვეგიელმა მოციგურავე ნილს ონესმა (2 წუთი და 12 წამი) და ოქროს მედალიც მას ხვდა. საბჭოთა მოციგურავეებმა ანტს ანტსონმა და ედუარდ მატუსევიჩმა აჩვენეს თანაბარი დრო — 2 წუთი და 12,8 წამი და გაიყვეს მესამე და მეოთხე ადგილები.

ყურადღების ცენტრში იდგა 10.000 მეტრზე რბოლა. აქ წარმატებას მიაღწია ნორვეგიელმა სპორტსმენმა კუტ იუჰანსენმა შედეგით — 16 წუთი და 6,9 წამი. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა ვიქტორ კოსიჩკინმა და ედუარდ მატუსევიჩმა.

ამრიგად, მრავალჭიდში გამარჯვება და მსოფლიოს აბსოლუტური პირველობა მოიპოვა კუტ იუჰანსენმა (182,708 ქულა), მეორე ადგილზე გამოვიდა ვიქტორ კოსიჩკინი (183,065 ქულა), მესამეზე — რუდი ლიბრეჰტსი (ჰოლანდია, 183,642 ქულა), მეოთხეზე — ედუარდ მატუსევიჩი (183,797 ქულა).

## ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ Მ. ᲠᲐᲜᲘᲙᲣ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** გრძელდება მატჩ-ტურნირი ჭადრაკში ტ. ზატულოვსკაისა და მ. რანიკოს შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლენად ქალთა შორის.

როგორც ვიფუწყებოდით, მეოთხე პარტია მძაფრი ბრძოლის შემდეგ გადაიდო. გასულ კვირადღეს ტ. ზატულოვსკაიამ, რომელსაც პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

გუშინ მ. რანიკომ დაამარცხა ტ. ზატულოვსკაია და დაწინაურდა. ანგარიშია 3:2.

## ᲙᲠᲝᲡᲘ

**ᲛᲐᲡᲙᲝᲒᲠᲘᲝᲜᲘ** და მომზიდველი იყო მძლეოსნური კროსი თბილისში.

გოგონათა შორის 1.000 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ბათუმის გუნდის წარმომადგენელი ლ. რიაბცევა, რომელმაც დისტანცია გაირბინა 3 წუთსა და 28,4 წამში. შეუპოვარი აღმოჩნდა ქალთა შეჯიბრება ამავე მანძილზე. გამარჯვება ხვდა თბილისის პირველი გუნდის წევრს გ. ზრაქევსკაიას.

ჭაბუკებსა და ვაჟებს პაექრობა ჰქონდათ 3.000 და 5.000 მეტრის გარბენაში. 3.000 მეტრზე რბენაში ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ზ. ავეტისიანმა (თბილისის მძლეოსანთა გუნდი). მან დისტანცია გაირბინა 9 წუთსა და 53 წამში. ვაჟთა შორის 5.000 მეტრზე რბენაში პირველობა ხვდა თბილისის მეორე გუნდის წევრს — ვ. რუკინს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის პირველმა გუნდმა.

## ᲢᲢᲢ-Ს ᲒᲣᲜᲓᲘ — ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

**ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ** ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის დასასრულს უახლოვდება.

თასის მფლობელებმა, რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელებმა პირველ ნახევარფინალურ მატჩში დამარცხება განიცადეს სოფიაში ადგილობრივ საკლუბო გუნდ „სლავიასთან“ 5 ქულის სხვაობით. ფინალში გასვლის საკითხი დამოკიდებული იყო მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაზე რიგაში.

და აი ეს მატჩი შედგა. საბჭოთა კალათბურთელებმა წარმატებით ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს 61:47 (30:22). რიგის ტტტ-ს გუნდი ფინალში გავიდა.

## ᲓᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 43 წლისთავსა და საბჭოთა არმიის 46 წლისთავს მიუძღვნეს ჩვენი რესპუბლიკის მოტომბოლეებმა რესპუბლიკური მოტოკროსი. ეს შეჯიბრება შედგა გასულ კვირადღეს დედლისის მიდამოებში.

კროსის დისტანცია (54 კილომეტრი) მეტად რთული იყო. 125 კუბური სანტიმეტრის მანქანებით კროსში წარმატება ხვდა რუსთავის სპორტსმენთა კოლექტივის წარმომადგენელს ა. ნედერს. ამავე გუნდის წევრი ო. ტიტვინიძე უძლიერესი იყო 175 კუბური სანტიმეტრის მანქანებით კროსში.

350 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ასპარეზობაში პირველობა მიიპოვა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა გ. კლიმენტიევმა.

## ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲙᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**მსოფლიოს** პირველობის მოსკოვის ზონალური ტურნირი საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია.

შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა მეხუთე ტური. ორმხრივი გართულებებით ხასიათდებოდა დ. ბრონშტეინისა და ლ. შტეინის პარტია, მაგრამ ბოლოს მეტოქენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბრძოლის გაგრძელება უნაყოფო იყო და 31-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბ. სპასკიმ მოუგო ა. სუეტინს. რ. ხოლმოვ - ე. გელერი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ გაიმართა მეექვსე ტური. ლ. შტეინ - რ. ხოლმოვისა და ვ. კორჩნოი - ბ. სპასკის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი, სუეტინ-ბრონშტეინის პარტია გადაიდო.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არის რ. ხოლმოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში — მოსკოვის „დინამო“ ბულგარეთს ეწვია და აქ ემზადება საკავშირო ჩემპიონატისათვის. პირველი საერთაშორისო მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ ადგილობრივ საკლუბო გუნდ „ბელასიცთან“ და შეხვედრა ფრედ (1 : 1) დამთავრეს. დინამოელები ბულგარეთში კიდევ რამდენიმე მატჩს გამართავენ.

## ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘ

**ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ** განაგრძობს ტურნეს ჩვენი ქვეყნის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი. მორიგი მატჩი საბჭოთა ხელბურთელებს ჰქონდათ ნორბოტის პროვინციის გუნდთან და გაიმარჯვეს 29 : 14.

## „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲡᲝᲤᲚᲙᲝᲠᲢᲘᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ

**დღეს,** 25 თებერვალს, დილის 10 საათზე თბილისის საორთქლმავლო დეპოში გაზეთ „კომუნისტის“ მუშა-სოფლკორთა კაბინეტი აწყობს დეპოს მუშაკორთა და ძირეული პრესის მუშაკთა საინსტრუქტაჟო თათბირს თემაზე „დიდი ქმნია და ძირეული პრესის ამოცანები“.


რედაქტორი
Დ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.


## ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲙᲝᲠᲓᲘ

სარგებლო გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, რობერტინო ახლა უკეთ მღერის, ვიდრე წინათ.

მიაჩნიათ, რომ კარიერის პირველ წლებში რობერტინოსათვის დამახასიათებელი იყო ხმის მეტისმეტი ფორსირება. ამ მოსაზრებაა ნაწილობრივ მეც ვიზიარებ. ზოგიერთი სიმღერის შესრულებისას იგრძნობოდა არაპროფესიულობა, აშკარად აკლდა პედაგოგის ხელი. ზოგიერთ სიმღერას კი იგი ასრულებდა ბუნებრივად, დიდი გრძნობით. რობერტინოს პირველი ჩანაწერებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ო, ჩემო მზეო“ და საუცხოო „ავე მარია“ შუბერტისა. ამ ნაწარმოებებს რობერტინო გადმოგვცემს როგორც გამოცდილი მომღერალი.

სხვა საქმეა მოდური, ფერადკაბგული სიმღერები. სრულებით არ მგვრის აღფრთოვანებას რობერტინოს გამოსვლა ამ ჟანრში. მე მგონია, პედაგოგებმა უნდა ურჩიონ რობერტინოს თავი დაანებოს ასეთ სიმღერებს და სერიოზულ რეპერტუარს მიმართოს. რა თქმა უნდა გასართობი მუსიკით უფრო ადვილია ბევრი ფულის შოვნა, მაგრამ საბოლოოდ რობერტინოს გზა საოპერო მომღერლის გზა უნდა იყოს.

რობერტინოს ყოველმხრივი მუსიკალური განათლება არ მიუღია, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იგი რომის საოპერო სკოლაში დადიოდა და ცნობილი იტალიელი მომღერლის ტიტო გობის სკოლაშიც სწავლობდა.

რობერტინო დადიოდა აგრეთვე მსოფლიოში ცნობილი იტალიელი ტენორის ტიტო სკიპას აკადემიაში. თუმცა არც ტიტო სკიპა და არც ტიტო გობი სპეციალურად არ ასწავლიდნენ რობერტინოს, მაგრამ მათს სასწავლებლებში მუშაობდნენ პირველხარისხოვანი პედაგოგები, რომლებსაც, ცხადია, შეეძლოთ დახმარება გაეწიათ ნორჩი მომღერლისათვის.

ამჟამად „რობერტინოს დაოსტატებას კლავს ხელმძღვანელობენ გამოცდილი იტალიელი პედაგოგები. აგრეთვე გამოჩენილი დანიელი მუსიკოსები. და თუ ყველაფერი კეთილად დამთავრდა, მე ეჭვი არ მეპარება, რომ თავის დროზე რობერტინო წარმატებით გამოვა მსოფლიოს უდიდესი საოპერო თეატრების სცენებზე — მოსკოვში, ნიუ-იორკში, მილანში.

ახალგაზრდა მომღერალი ბევრ კონცერტს მართავს.

— რობერტინოს მრავალი მიწვევა აქვს მიღებული, — თქვა ჩემთან საუბარში მომღერლის ახლანდელმა იმპრესარიომ, გრამფირფიტების ფირმის დირექტორმა კნუდ ნერკმა. — აი, ახლაც ტურნეს აწყობს დანიაში.

რობერტინოს გრამფირფიტები მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ, მაგრამ ყველაზე დიდი მოთხოვნილება მათზე ევროპაშია.

აქვს თუ არა რობერტინოს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის სურვილი? დიახ, რა თქმა უნდა! მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

ᲘᲜᲖᲒᲐᲠ ᲰᲝᲚᲛᲘ.

ნორვეგიელი მუსიკათმცოდნე.

• • •

**სურათზე:** რობერტინო ლორეტი.

## ᲩᲐᲑᲣᲙᲘ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘᲜᲝ

ახლა იგი მოკლე შარვალს აღარ ატარებს; მხიარულთვალებიან მიმზიდველ ახალგაზრდას ახლა უკვე ელეგანტური კოსტუმი აცვია; თექვსმეტი წლის ყმაწვილად სთვლიან, სინამდვილეში იგი უკვე ჩვიდმეტი წლისა გახლავთ.

როცა რობერტინო „აღმოაჩინეს“ (იგი მაშინ თორმეტი წლისა იყო), მაშინ მას მშვენიერი ბავშვური სოპრანო ჰქონდა. პატარა ბიჭი იმ პერიოდში რომის საბავშვო და საეკლესიო გუნდებში მღეროდა. საკვარაუდოა, რომ სწორედ მაშინ მოუსმინა პატარა მომღერალს ბენჯამინო ჯილიმ და ქებით მოიხსენია მისი მუსიკალური ნიჭი. გარდაცვლის (მუტაციის) შემდეგ რობერტინოს ხმა რამდენადმე დაბალი დადგა, მაგრამ წინანდებური მომხიბვლელობა შენარჩუნა და თანდათანობით ნამდვილი ტენორის ტემბრალობას იძენს.

... ეს ორი წლის წინათ მოხდა. რობერტინომ ხმა დაკარგა. ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ ნორჩი მომღერალი მეტისმეტად დაიღალა, გადაიტვირთა. პირველივე ექიმმა, რომელსაც რობერტინომ მიმართა, სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანა. იგი კოპენჰაგენის საავადმყოფოში მოათავსეს, შემდეგ კი რომის საავადმყოფოში-გადაიყვანეს. ამბობენ, რომ რობერტინო ძალიან შეწუხებული იყო. ნეტავ რა მოხდება? დამიბრუნდება თუ არა ხმა? ასეთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

რობერტინო ისევ ჩამოვიდა კოპენჰაგენში, რომელიც გარკვეული აზრით მისი მეორე სამშობლო გახდა — იგი ხომ სწორედ აქ „აღმოაჩინეს“. პირველ ხანებში რობერტინოს ნება დართეს მხოლოდ 10 წუთი ემღერა დღეში.

რაც არ უნდა იყოს, ავადმყოფობით გამოწვეული შესვენება, როგორც ჩანს, სასარგებლო გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, რობერტინო ახლა უკეთ მღერის, ვიდრე წინათ.

**სურათზე:** ანსამბლის სოლისტები (მარცხნიდან მარჯვნივ) ე. ბეთეიშვილი, ზ. გოგოჩაშვილი, ნ. მენთეშაშვილი, დ. დონდუა, ლ. გიუნაშვილი და ლ. პაპიძე.

ფოტო ს. კილაძისა.


1964 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲛᲐᲠᲢᲡ Ქ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 3-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ 98-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

**ᲡᲔᲡᲮᲘᲡ** ჩვიდმეტ თანრიგზე გათამაშდება 7.905.340 მანეთის 144.500 მოგება, მათ შორის:

5.000-მანეთიანი 34 მოგება, 2.500-მანეთიანი 85 მოგება, 1.000-მანეთიანი 425 მოგება, 500-მანეთიანი 1.360 მოგება, 100-მანეთიანი 11.900 მოგება, 40-მანეთიანი 130.696 მოგება.

სესხზე ყოველწლიურად ტარდება მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოსახლეობაში არსებული 3-პროცენტიანი სესხის ყველა ობლიგაცია მონაწილეობს მოგებათა ყველა ტირაჟში, რომლებიც ჩატარდება ამ სესხის ვადის გასვლამდ